სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 444

(ოქმი № 396)

2018 წლის 25 დეკემბერი

თბილისი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარების გაცემის შესახებ

ვინაიდან, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2018 წლის ბიუჯეტიდან სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარებისათვის გამოყოფილი ჯამური თანხის ნაშთი 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 27 263 (ოცდაშვიდი ათას ორასსამოცდასამი) ლარს,

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად,

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2018 წლის ბიუჯეტიდან სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარებისათვის გამოყოფილი ჯამური თანხის ნაშთი 27 263 (ოცდაშვიდი ათას ორასსამოცდასამი) ლარის ოდენობით თანაბარ ნაწილებად განაწილდეს მოქმედ სამეურვეო საბჭოს (სულ რვა მეურვე) წევრებს შორის.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებიდან.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ქეთევან მსხილაძე

ნინო-ნინია კაკაბაძე

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

გიორგი იაკობაშვილი